

გერი გორგი (რუხაძე)

**კონსტანტინეოლის
გადანუვითილუბანი
უკრაინის ავტოკეფალიისა
და მღვდელთა მეორედ
ქორწინების შესახებ**



თბილისი, 2019

კრებულში შეტანილია ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული წერილები, რომლებიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ 2018-2019 წლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს ეხება. «უკრაინის ავტოკეფალიაზე» და მღვდელთა მეორედ ქორწინებაზე საქართველოს ეკლესიას ჯერ-ჯერობით ოფიციალურად პოზიცია არ გამოუხატავს, მაგრამ წერილებში განხილული ფაქტები, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს პრობლემური საკითხების გამოძიებას და დასკვნის გამოტანასაც გააადვილებს.

რედაქტორი — პროფ. გვანცა კოპლატაძე

რამდენიმე დღის წინ ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს «უკრაინის პატრიარქმა ფილარეტმა უკრაინაში მებრძოლი ქართველები დააჯილდოვა». ღონისძიებას დასწრებია მ. სააკაშვილი და უკრაინაში გახიზნული ნაცმოძრაობის სხვა წარმომადგენლები. – ბუნებრივია, რელიგიურ საკითხებში გაურკვეველი მკითხველი ასეთ ცნობას კრიტიკის გარეშე იღებს და ფილარეტს, რამდენადაც მას მედია პატრიარქს უწოდებს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელად მიიჩნევს, რომელიც ქართველ მებრძოლესთან ერთად დამნაშავე ექსპრეზიდენტსა და მის ბანდას პატივს მიაგებს.

სინამდვილეში, ყოფილი მღვდელთმთავარი ფილარეტ დენისენკო თვითმარქვია პატრიარქია, რომელსაც მოსკოვის საპატრიარქოს მიერ ხარისხი აყრილი აქვს და რომელიც ანათემაზე არის გადაცემული. თვითგამოცხადებული კიევის საპატრიარქო, რომელსაც ფილარეტი მეთაურობს, კანონიკურად არც არსებობს, ანუ არცერთი ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესია მას არ აღიარებს (გარდა ქართული მედიისა, სააკაშვილისა და მისი მიმდევრებისა). აქედან გამომდინარე, ვინც ფილარეტის დაჯგუფების თანამოზიარე გახდა, ის თავისთავად ოფიციალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხეთქილებაში იმყოფება.

ნაცების სქიზმატიკოსობა რა გასაკვირია, მაგრამ ფილარეტის ჯილდოებით გახარებულმა მოხალისე ქართველებმა თუ იციან, ვისგან იღებენ პატივს? – ჩემთვის, მაგალითად, ამ ფაქტის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ მებრძოლებისთვის დამნაშავე სააკაშვილის გვედრით დგომა და ერთმორწმუნე რუსთა სიძულვილი უფრო მეტად განსაზღვრავს მათ მისწრაფებებს, ვიდრე სამშობლოს ინტერესები, რომელსაც, მათი ტრაფარეტული განმარტებით, უკრაინაში ბრძოლით იცავენ. რა უბედური ერი ვართ! ადამიანები აბსურდის თეატრში თავს მართლა სწირავენ! ოდნავ მაინც რომ მჯეროდეს, ამ მოხალისეებს საქმიანი მსჯე-

¹ პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 17.02.2015.

ელობა დაფიქრების სურვილს აღუძრავდა, მწვავე შეფასებებსაც არ მოვერიდებოდით, მაგრამ სჯობს, ჩვენს მთავარ თემას დავუბრუნდეთ და რუსეთ-უკრაინის მღვდელთმთავართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები გადმოვცეთ, რომელთაც ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, როგორც წევრი ერთი ეკლესიისა, უნდა ითვალისწინებდეს.

უკრაინელებს ახსოვთ, რომ ყოფილი ეგზარქოსი, კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი ადრე ყოველთვის ვრცლად და ლამაზად საუბრობდა იმაზე, რომ არავითარი გაყოფა არ შეიძლება მოხდეს და ავტოკეფალიის მოთხოვნა სქიზმატიკოსების მოგონილია. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის პატრიარქად სხვა აირჩიეს, იგი განაწყენდა; თავისი სამწყსოს სუსტი მხარეები გამოიყენა და ე. წ. კიევის საპატრიარქო შექმნა. მიუხედავად ამისა, უკრაინის ეკლესია რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კანონიკურ ერთობას ინარჩუნებს არა პოლიტიკური მიზნებისა და «მოსკოვის აგენტობის» გამო, არამედ იმიტომ, რომ ერთიანობით სიძნელეები უფრო ადვილად გადალახონ და ისედაც დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გართულებას არ შეუწყონ ხელი.

რუსებსაც და უკრაინელებსაც საერთო ისტორია აქვთ, ისინი ერთ ემბაზში მოინათლნენ, ერთსა და იმავე წმინდანებს ევედრებიან. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ნაწილია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა, იგი იმდენად ფართო ავტონომიას ფლობს, რომ დამოუკიდებელი მმართველობის სრული უფლება აქვს მინიჭებული. მას ჰყავს თავისი საჭეთმპყრობელი, თავისი სინოდი და აქვს ყველა აუცილებელი პირობა იმ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომელიც არსებული სახელმწიფოს საზღვრებში მას ესაჭიროება. ამიტომ რაღაც უფრო მეტის მიღების პრეტენზია და ცალკე გამოყოფის უსაფუძვლო სურვილი უკრაინის ეკლესიას არასოდეს გასჩენია.

ფილარეტის მიერ გამოწვეული განხეთქილება თავიდანვე პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენდა და უკრაინელი და რუსი ხალხების გაყოფისკენ იყო მიმართული. ოცი წლის წინ ამოქმედებული გეგმის მიხედვით, ჯერ ხალხი აღმსარებლობის პრინ-

ციპით დაყვეს, შემდეგ შეეცადნენ ენობრივი და პოლიტიკური პრინციპების გამოყენებას, ახლა კი ამ გათიშულობამ უკრაინა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანა, რომელსაც მსხვერპლად მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება.

მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ამ კონფლიქტში რომელიმე მხარე არ უჭირავს, განსხვავებით ქართველი მეზობლებისა და კათოლიკე მღვდლებისაგან, რომლებიც ჯვრებით ხელში მაიდანზე შეკრებილ მოქალაქეებს «ბერკუტის» შტურმისაკენ მოუწოდებდნენ. უკრაინელები მათ საქციელს არც გაუკვირვებია, რადგან წლების განმავლობაში ისინი ხედავდნენ, რომ პარტია «თავისუფლების» წინამძღვრობით მოსკოვის საპატრიარქოსთვის ჩამორთმეული ტაძრები შემდეგ სქიზმატიკოსებს ან კათოლიკეებს გადაეცემოდა.

მიტროპოლიტი ილარიონის(ალფეევი) სამართლიანი შენიშვნით, პარადოქსია, რომ უკრაინის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები უკრაინის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიას, რომლის მეთაური რომში იმყოფება, უკრაინის ნაციონალურ ეკლესიად წარმოაჩენს, ხოლო მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც უკრაინის მართლმადიდებელ მორწმუნეთა უდიდეს ნაწილს აერთიანებს, მოსკოვის მიერ მართულ ეკლესიას უწოდებს. მაშასადამე, რომიდან შეიძლება ეკლესიის მართვა, ხოლო მოსკოვიდან – არა. მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ფაქტობრივად სრულიად დამოუკიდებელია, როგორც ფინანსური, ისე ადმინისტრაციული თვალსაზრისით. შენარჩუნებულია მხოლოდ ლოცვითი კავშირი. ერთადერთი წესი, რომელიც ადგილობრივი ეკლესიის სულიერ ერთობას ადასტურებს, ისაა, რომ უკრაინის ეპისკოპატის მიერ არჩეულ კიევის უნეტარეს მიტროპოლიტს მოსკოვის პატრიარქი ამტკიცებს.

ეს ერთობა მეტად ძვირფასია ორივე მონათესავე ერისათვის. ათასი წლის წინ ისინი ერთიანი რუსეთის შვილები იყვნენ და ქრისტეს ნათელსაც მაშინ ეზიარნენ. ამ დროის განმავლობაში პოლიტიკური საზღვრები ბევრჯერ შეიცვალა, მაგრამ ეს იმას

არ ნიშნავს, რომ ეკლესიაც საზღვრების შესაბამისად უნდა შეიცვალოს. მართლმადიდებელი ეკლესია ამ პრინციპს რომ გამოეცნობოდა, მაშინ, მაგალითად, აფრიკაში ალექსანდრიის საპატრიარქო 54 ჯუჯა ეკლესიად დაიყოფოდა, ხოლო ანტიოქიის საპატრიარქო, რომელიც სირიისა და ლიბანის მორწმუნეებს აერთიანებს, ორად იქნებოდა გაყოფილი.

სამწუხაროდ, რთული პოლიტიკური ვითარებით სქიზმატიკოსები ყოველთვის სარგებლობენ. რუსეთის პატრიარქის, უნმიდესი კირილეს განცხადებით, მარტო მიმდინარე წელს ფილარეტის მიმდევრებმა ვინიცის, ტერნოპოლის, ლვოვის და სხვა ოლქებში 18 ტაძარი მიიტაცეს. მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთის საპატრიარქო შეიარაღებულ დაპირისპირებულთა რომელიმე მხარის მოქმედებას პოლიტიკურ შეფასებას არ აძლევს და მონინალმდევრებს მშვიდობისკენ მოუწოდებს.

ამრიგად, განხილული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გამავრცელებელი ყველა მედია-საშუალება ვალდებულია, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გამო ბოდიში მოიხადოს და, დილექტანტიზმისგან თავის დაღწევის მიზნით, მომავალში ინფორმაცია მექანიკურად აღარ გაავრცელოს.



მეორე რომი მისამის წინააღმდეგ²

ბოლო დროს მართლმადიდებულ სამყაროში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ ახლახან, 7 სექტემბერს, უკრაინაში მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მისანიჭებლად მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება დაიწყო და კიევში, მოსკოვის საპატრიარქოს კანონიკურ ტერიტორიაზე, თავის ეგზარქოსებად, პამფილიის მთავარეპისკოპოსი დანიელი(აშშ) და ედმონტონის ეპისკოპოსი ილარიონი(კანადა), დანიშნა. რაც იმას ნიშნავს, რომ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან, უნმიდეს კირილესთან და კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტთან, უნეტარეს ონუფრისთან შეთანხმების გარეშე სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნით კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ არ გაითვალისწინა ის საეკლესიო კანონები, რომლებიც ერთი ადგილობრივი ეკლესიის ეპისკოპოსებს მეორე ადგილობრივი ეკლესიის შიდა საქმეებში ჩარევას პირდაპირ უკრძალავს.

სამწუხაროა, რომ კონსტანტინეპოლის ახლანდელი პოზიცია პოლიტიკურმა ფაქტორმა განაპირობა. მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსს, რომელიც კონსტანტინეპოლის საყდარზე 1991 წელს ავიდა, აქამდე უკრაინის ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებით არავითარი ეჭვი არ გასჩენია. მისთვის სადავო არასოდეს გამხდარა არც რუსეთის საპატრიარქოს გადანაცვეტილება, რომლის ძალითაც მის იურისდიქციაში მყოფ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას დამოუკიდებელი მმართველობის უფლება ჰქონდა მინიჭებული.

ახლა კი, ფანარის³ ადმინისტრაციამ საუკუნეთა განმავლობაში შეუმჩნეველი «ისტორიული და კანონიკური საფუძვლები» აღმოაჩინა და ეკლესიის ერთობის დაცვის სანაცვლოდ, უკრაინის პრეზიდენტის პ. პოროშენკოსა და სქიზმატიკოსთა მოთხოვნებს

² პირველად დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“, 23.09.2018.

³ ფანარი სტამბულის პატარა რაიონია, სადაც კონსტანტინეპოლელ პატრიარქთა რეზიდენცია მდებარეობს.

დაუჭირა მხარი. აღსანიშნავია ისიც, რომ, გარდა განხეთქილებაში მყოფი ფილარეტ დენისენკოს⁴ დაჯგუფებისა, პოლიტიკოსების ერთი ნაწილი, რომელიც დღეს უკრაინაში საეკლესიო პროცესებს წარმართავს, ან აშკარა ათეისტია, ან არამართლმადიდებლურ თემს წარმოადგენს.

ამიტომ რუსოფობიას აყოლილმა ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სხვა ადგილობრივი ეკლესიის საქმეში უკანონოდ ჩარევით არა მარტო რუსეთის საპატრიარქოსთან განხეთქილების პროვოცირებას ახდენს, არამედ მთელი მართლმადიდებლური სამყაროს ერთიანობას რეალურ საფრთხეს უქმნის.

მოსალოდნელია, რომ საქართველოში თავს მალე წამოყოფენ ე. წ. ექსპერტები და თეოლოგები, რომლებიც პოლიტიკურ ზედწოდებას «ოკუპანტისა» რელიგიური შუღლის გასამწვავებლად გამოიყენებენ და არა საეკლესიო კანონთა აღსრულებას, არამედ ეთნოფილეთიზმის ერესის განვითარებასა და სარწმუნოებრივი საკითხების მანიპულირებით ეროვნებათა შორის დაპირისპირებას შეუწყობენ ხელს. პოლიტიკური კურსის გათვალისწინებით, რუსეთთან დაპირისპირების დასავლური პროგრამა მუშაობს, მაგრამ იდეოლოგიები მაინც ამჩნევენ, რომ მართლმადიდებლებს, განურჩევლად ეროვნებისა, უყვართ ერთმანეთი და ისინი დღემდე მეორედ მოსვლისა ერთმანეთისთვის ლოცვას არ შეწყვეტენ.

საფიქრებელია, რომ ქვეშარიტების გონიერმა მტრებმა შეიმუშავეს გლობალური გეგმა, რომელიც მიზნად ადგილობრივი ეკლესიების ერთმანეთისგან გათიშვას ისახავს. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას მსოფლიო პარტიარქის ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც მას ყველა ადგილობრივ ეკლესიასთან უნდა შეეთანხმებინა. სწორედ ამისკენ მიანიშნა პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და გააფრთხილა, რომ ასეთი ნაჩქარევი მოქმედებები უკრაინის განხეთქილებას კიდევ უფრო

⁴ გახსოვთ, ალბათ, ამ განკვეთილ იერარქთან მ. სააკაშვილის ახლობლურ ურთიერთობაზე ჩვენ ადრე სტატიაც გამოვაქვეყნეთ.

გააღრმავებს; ხოლო სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ირინეოსმა სთხოვა პატრიარქ ბართლომეოსს, რომ ხელი აიღოს უკრაინისთვის ავტოკეფალიის ტომოსის მიცემაზე, რადგან უკრაინის საეკლესიო ორგანიზაციაზე კანონიკური და ისტორიული უფლება მხოლოდ რუსეთის ეკლესიას აქვს; ამასთან, მან კონსტანტინეპოლის პატრიარქი გააფრთხილა, რომ მისთვის ცნობილია ანალოგიური გეგმა «მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის» შესაქმნელად და გამოთქვა აზრი, რომ ეს დამლუბველი საქმიანობა აუცილებლად უნდა შეჩერდეს.

თვით რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ საგანგებოდ მოწვეულ წმიდა სინოდის სხდომაზე დაადგინა(14.09.2018), რომ შეაჩერებს კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეოსის ლოცვაში მოხსენიებას ღმრთისმსახურების დროს და მსახურებას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იერარქებთან ერთად; აგრეთვე, მონაწილეობას არ მიიღებს არცერთ ღონისძიებაში, რომელიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით ან თანათავმჯდომარეობით გაიმართება.

აღნიშნული დადგენილება, თავისთავად, კანონიკური და ექვარისტიული კავშირის განწყვეტას არ ნიშნავს, მაგრამ მსოფლიო პატრიარქის პოზიცია მოვლენების გამოსწორების საშუალებას არ იძლევა. მისი პრეტენზია მთელი მართლმადიდებლური მსოფლიოს სახელისუფლო პირველობაზე სპეციალისტთა მიერ უკვე შეფასდა, როგორც «აღმოსავლური პაპიზმი». სწორედ ამ ბოლო დღეებში წარმოითქვა მის მიერ ფრაზები: «კონსტანტინეპოლის პატრიარქი – ეს არის თავი მართლმადიდებლობის სხეულისა», «დასაბამი მართლმადიდებლური ეკლესიისა მსოფლიო პატრიარქია», «მართლმადიდებლობა ვერ იარსებებს გარეშე მსოფლიო პატრიარქისა».

გასაგებია, რომ მეორე რომს დღევანდელ მართლმადიდებლურ მსოფლიოში ყველაზე დიდ, ძლიერ და გავლენიან რუსეთის ეკლესიასთან დაპირისპირება გაუჭირდება, მაგრამ ამ მოტივით საკუთარი საპატრიარქო ტახტისთვის პრიმატის მინიჭება მართლმადიდებლობის საზღვრებს სცდება და «ექს კათედრის»

სტატუსს იძენს, რომლის ძალითაც რომის პაპები მთელს კათოლიკურ ეკლესიაზე ერთპიროვნულად მბრძანებლობენ.

ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის სწორედ ესაა, რომ პაპს შეთავსებული აქვს ისეთივე უფლებრივი ფუნქცია, რომელიც მართლმადიდებელთათვის მსოფლიო საეკლესიო კრებას, ანუ ყველა ადგილობრივი ეკლესიის ერთობას აქვს. კონსტანტინეპოლის პატრიარქის «მსოფლიო» ტიტული არა ხელისუფლების ფლობის პრიმატზე, არამედ პატივის მიხედვით პირველობაზე მიანიშნებს. ადგილობრივი ეკლესიებისა და მათი მეთაურების მოსახსენებელ სიაშიც, რომელსაც დიპტიქი ეწოდება, კონსტანტინეპოლის პატრიარქს პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ ეს პირველობა არა მის ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას, არამედ ისტორიულად დადგენილ საპატიო რიგს ასახავს.

XI ს-მდე დიპტიქში პირველობა რომის ეკლესიის საჭეთმყრობელს ეკუთვნოდა, მაგრამ გაკათოლიკების შემდეგ მისი ადგილი კონსტანტინეპოლის პატრიარქს მიენიჭა, რადგან იგი მომდევნო იყო პატივდებულთა რიგის მიხედვით. საფუძვლად ამ მოქმედებას უდევს პრინციპი: რომელიმე ადგილობრივი ეკლესია თუ ქვემარტებას განუდგა, მართლმადიდებელი ეკლესია თავის სინამდის, ერთობასა და სისავსეს სრულიად ინარჩუნებს. ამიტომ არავითარი გამართლება არა აქვს რომელიმე საყდრის თვითგანდიდებას, თუნდაც იგი მატარებელი იყოს წოდებისა «მსოფლიო».

სიტუაციას განსაკუთრებით ამძიმებს ფანარის აბსურდული მცდელობა რუსეთის ეკლესიისთვის კანონიკურ უფლებამოსილებათა ჩამორთმევის თაობაზე. კონსტანტინეპოლის საყდარი ესწრაფვის რა, თავისი იურისდიქცია განავრცოს კიევის მიტროპოლიაზე, აცხადებს, რომ კიევის მიტროპოლია მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში არასდროს შედიოდა. ბუნებრივია, რუსეთის ეკლესიას ყველა დოკუმენტი მოეპოვება კანონიერ უფლებათა დასაცავად, მაგრამ ფანარის წარმომადგენლები თავს როგორ იმართლებენ ადგილობრივი ეკლესიების წინაშე, როცა ისინი ავტოკეფალიის მინიჭებას აპირებენ კრებულისთვის, რო-

მელიც საერო ხელისუფლების დავალებით სქიზმატიკოსებისგანაა შემდგარი.

კონსტანტინეპოლის ეკლესიის იერარქები «ანტიკანონიკურად» მოიხსენიებენ კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონუფრის იმის გამო, რომ იგი კონსტანტინეპოლის პატრიარქს ლოცვებში არ იხსენიებს. მაშინ, როცა 2016 წლის იანვარში, შამბეზიში(შვეიცარია), ადგილობრივ ეკლესიათა წარმომადგენლების შეკრებაზე, თვით პატრიარქი ბართლომეოსი მიტროპოლიტ ონუფრის საქვეყნოდ უწოდებდა ერთადერთ კანონიერ მეთაურს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა. იქვე კონსტანტინეპოლის ეკლესიის მეთაურმა პირობა დადო, რომ არც კრეტის კრებაზე და არც მის შემდეგ არავინ შეეცდებოდა განხეთქილების ლეგალიზებას და ცალმხრივად, კრებსითი გადაწყვეტილების გარეშე, არავის მიენიჭებოდა ავტოკეფალია.

სულ სამი წელიწადიც არ დასჭირდა იერარქთა პოზიციების რადიკალურად შეცვლას, რომელმაც მართლმადიდებლური სამყარო უკვე სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა. სხვათა შორის, ეს ჩვენი პოლიტიკოსებისთვისაც გამოცდაა, ვინაიდან ისინიც ქრისტიანული ქვეყნის შვილები არიან და მათ მიერ სწორი (თუნდაც, არაპრაგმატული) მიმართულების არჩევას სამშობლოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ღმრთის მიერ ადამიანის ღირსება უცვლელი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი კატეგორიებით ფასდება: «მე იგივე ვარ, მარად და მარად», და არა რომაელთა სენტენციების პრინციპით: «დრონი მეფობენ და არა მეფენი».

სანამ სტატიას დავასრულებდეთ, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ საკითხი, რომელიც სქიზმატურმა პრობლემებმა უკანა პლანზე გადაიტანა. კონსტანტინეპოლის ეკლესიის კიდევ ერთი გაუმართლებელი გადაწყვეტილებით (სტამბული, 1-3 სექტემბერი, 2018) მის იურისდიქციაში მყოფ მღვდლებსა და დიაკვნებს მეორედ ქორწინების უფლება მიეცათ. მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა საკითხი სამღვდლოების მეორედ ქორწინების შესახებ ჯერ კიდევ 2016 წელს კრეტის კრებაზე გამოიტანა, ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ მის

მიღებაზე უარი განაცხადა, მაგრამ, როგორც ჩანს, კონსტანტინე-პოლისთვის ყავლი გაუვიდა ეკლესიის საერთო აზრსა და სჯული-ერ კანონებს. ამ ლიბერალური კანონის დამტკიცებით სრულიად ირღვევა მორალური ზღუდე, რომელიც მოძღვარსა და მრევლს შორის სულიერ, ანუ მამაშვილურ ურთიერთობას განსაზღვრავს. ფაქტობრივად, ფანარის ახალი კანონი სულიერ მამას პოტენციურად საქმროს სტატუსს ანიჭებს, რომელიც მან სულიერ შვილებს შორის საცოლის ამოსარჩევად შეიძლება გამოიყენოს.

მართალია, აღნიშნული კანონი არადოგმატური შინაარსისაა, მაგრამ მართლმადიდებლური მოძღვრება ისევე გმობს უზნეობას, როგორც მწვალებლურ სიმახინჯეს. ამიტომ კონსტანტინეპოლის ეკლესიამ თავი ჩაიყენა მდგომარეობაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მიღებული კანონის გაუქმებით შეიძლება გამოსწორდეს.



გადამთიელნიც ისტორიას შეგვახსენებენ⁵

სტატიის მთავარი თემის განხილვამდე, ერთი ცნობილი ფაქტის გახსენება დაგვჭირდება. მას შემდეგ, რაც მ. სააკაშვილმა ჭიქა ჩაითა და ვარდებით ცინიკურად გაფორმებული რევოლუციის შედეგად მასების გულები დაიპყრო, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ რიგში განათლების პარტიული რეფორმა აამოქმედა. ბევრის მთქმელია და ამიტომ ღირს გახსენება განათლებისა და მეცნიერების მაშინდელ მინისტრთა კოჰორტისა: ალ. ლომაია(2004-2007 წწ.), გ. ნოდია(2008), ნ. გვარამია(2009), დ. შაშკინი(2010-2012). რამდენადაც თვითონ გახლავართ ერთ-ერთი მსხვერპლი მათი საუნივერსიტეტო რეფორმისა, ამიტომ მნმ-ის მიერ განხორციელებულ პროექტს განათლებისა და მეცნიერების ნგრევის შესახებ ცუდად არ ვიცნობ.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის წლებმა დაადასტურა, რომ გარეშე ძალების ინსტრუქციებით მართულმა ამ პარტიამ განათლების არსებული სისტემა მოშალა და ახალ ანტიეროვნულ და ანტიტრადიციულ იდეოლოგიას მყარი საფუძველი შეუქმნა. სიახლეს „დემოკრატიული და ევროპული ღირებულებების“ სახელი უწოდეს და თავიანთ ყაიდაზე ისე გარდაქმნეს, რომ დასავლური იმიჯის დაკარგვის შიშით, თუ უფლების არქონის გამო, განათლების სფერო ზნეობრივ და ეროვნულ მოთხოვნებს დღემდე ვერ პასუხობს.

რასაკვირველია, ჩვენზე მბრძანებლობის მოსურნე ძალას საზოგადოების ინტელექტუალურად დაქვეითება მართვის გასაადვილებლად ესაჭიროება. თუ იგი საზოგადოებას გონებრივი განსჯისთვის აუცილებელ ცოდნასა და სულიერებას გამოაცლის, მაშინ არც მისი უპასუხისმგებლო მასად გარდაქმნა და არც ინფორმაციული ზომბირება გაუძნელდება. მედია-საშუალებებში ტყუილად არ არის დაბანდებული დიდი თანხები; მეპატრონეებმა კარგად უწყიან, რომ, როგორიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს

⁵ პირველად, შესავლის გარეშე, დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“, 23.09.2018.

მმართველი ხელისუფლება, საზოგადოებრივ განწყობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და მის შესაქმნელად „სიტყვის თავისუფლება“ ყველაზე ძლიერ იარაღად არის მიჩნეული.

ამიტომ, როცა დემოკრატიის სახელით აღჭურვილი „სიტყვის თავისუფლება“ მორალურ ჩარჩოში არ არის მოქცეული და ცილისწამება, მუქარა, სიცრუე და შეურაცხყოფა მის შემადგენელ ცნებათა კატეგორიას განეკუთვნება, მაშინ ასეთ თავისუფლებას არა სიკეთე, არამედ ბოროტება, ცოდვის მონობა და გარყვნილება მოაქვს.

შესაძლოა შესავალი სიტყვა გაგვიგრძელდა კიდევ, მაგრამ გული მწყდება, რომ ზოგიერთს ჰგონია, ქართველები თითქოს უკვე აზროვნებადაქვეითებულ ერად გადავიქცეთ და არც ჩვენი წარსულისა და არც აწმყოსი გაგვეგება რამე. სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ „რადიო თავისუფლების“ უმცარათავის განკუთვნილ ინფორმაციათა თანმიმდევრულობა, რომლის მიხედვით საეკლესიო მოვლენათა მდინარება ცალმხრივად და არაადეკვატურად არის ასახული.

„უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კიევის საპატრიარქოს მეთაურის ფილარეტის განცხადებით, რუსეთი უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალიის მიღებაში უშლის ხელს“ (22.06.2018); „კიევის პატრიარქი ფილარეტი აცხადებს... როდესაც შეიქმნება უკრაინული ავტოკეფალური ეკლესია... მოსკოვის საპატრიარქო მსოფლიოში უდიდესი აღარ იქნება, ანუ მას აღარ ექნება ის გავლენა, რომელიც დღეს აქვს. შედეგად, მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში მშვიდობა დაისადგურებს“ (17.09.2018); „საქართველოს ეკლესიას უნდა ახსოვდეს ისტორია, რადგან უკრაინის ეკლესია ამჟამად მსგავსი ისტორიის წინაშეა, – ამის შესახებ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ფილარეტმა „რადიო თავისუფლების“ ქართული ბიუროს შეკითხვაზე პასუხად განაცხადა... უკრაინას ახსოვს, რომ რუსეთის სახელმწიფომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაანადგურა და თბილისში რუსი ეგზარქოსი დანიშნა... ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ეკლესია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის

ავტოკეფალიას მხარს დაუჭერს“ (31.10.2018). – ასეთია „რადიო თავისუფლების“ ქრონიკა, რომელშიც, როგორც ვხედავთ, არაფერია ნათქვამი საკითხის ქვეშარტ არსზე და მხოლოდ გაუცნობიერებელი მკითხველის შეცდომაში შეყვანაზეა გათვლილი.

მიაქციეთ ყურადღება ფილარეტის ტიტულატურას: იგი ჯერ კიევის საპატრიარქოს მეთაურად მოიხსენიება, შემდეგ – კიევის პატრიარქად, ბოლოს კი – უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქად. ეს საინფორმაციო ოინი შემთხვევითი არ არის. პროდასავლურ მედიას ფილარეტ დენისენკოს განდიდება ესაჭიროება რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს დისკრედიტაციისთვის; პატრიარქის სტატუსი მას ავტორიტეტს სძენს და საერთაშორისო მედია-სივრცეში მის სიტყვას წონას ჰმატებს. სამწუხაროდ, ყველა ამდაგვარი საინფორმაციო საშუალება მიზნის მისაღწევად იეზუიტურ მეთოდს იყენებს და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ დაპირისპირებათა მანიპულირებით მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობის დარღვევას ცდილობს.

ამიტომ, კიდევ ერთხელ, მთელი სერიოზულობით ჩავუღრმავდეთ ეკლესიაში წარმოქმნილ პრობლემებს და შესაბამისად სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად მთელი მართლმადიდებელი სამყარო დგას ისეთი მასშტაბის გამოცდის წინაშე, რომელსაც მხოლოდ XI ს-ის განხეთქილება თუ შეედრება. მაშინ ადგილობრივმა ეკლესიებმა ვერ შეძლეს ერთობის შენარჩუნება და იძულებულნი შეიქნენ განეშორებინათ მწვალებლობით დასნეულებული ნაწილი, მაგრამ დღეს დიდი გამოცდილებისა და ისტორიის მქონე ეკლესია, ღმრთის წყალობით, ალბათ მეტს შეძლებს და ერთიანი ძალისხმევით ახალ განხეთქილებას თავიდან აირიდებს. ამისთვის კი ჩვენი მხრივ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია სიფხიზლე და ობიექტურობის დაცვა.

1. ვინ არის ფილარეტ დენისენკო? – ყოფილი ეპისკოპოსი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა. მას იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ პატრიარქი პიმენის გარდაცვალების შემდეგ ახალი საჭეთმპყრობელის არჩევნებზე პრეტენდენტთა შორის ირიცხებოდა. თუმცა მაშინ, 1990 წელს, ან განსვენებუ-

ლი პატრიარქი ალექსი II იქნა არჩეული. ფილარეტის სულიერი დაცემაც ამ დროიდან დაიწყო.

საერო ხელისუფლების მონაწილეობითა და მხარდაჭერით მან უკრაინის ეკლესიის მეთაურობა გადამეცა. შექმნა ე. წ. დამოუკიდებელი ეკლესია, რომელიც, რა თქმა უნდა, არცერთმა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ აღიარა. 1992 წელს, ეკლესიის ერთობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებისთვის, კრების გადაწყვეტილებით დენისენკოს მსახურება აეკრძალა და ხარისხი ჩამოერთვა. მაგრამ მან მღვდელმსახურება გააგრძელა; თვითნებურად ადგენდა ახალ ეპისკოპოსებს, აკურთხევდა მღვდლებს, მოქმედი ადგილობრივი ეკლესიის ტერიტორიაზე ხსნიდა ტაძრებს...

შეუძლებელია, რომ ეკლესიის წინააღმდეგ შეგნებულად წასვლა არ შეფასებულიყო როგორც გმობა სულისა წმიდისა, რადგან, მამათა სწავლების მიხედვით, სულიწმიდის გმობა არა წმიდა სამების მესამე ჰიპოსტასის მიმართ მკრეხელური სიტყვების წარმოთქმას, არამედ ჭეშმარიტების შეგნებულად უარყოფას ნიშნავს. ამის საფუძველზე რუსეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო კრებამ 1997 წელს ფილარეტ დენისენკო შეაჩვენა და ეკლესიიდან განკვეთილად გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, ფილარეტს საეკლესიო კანონთა ფეხქვეშ გათელვა არც შემდგომ წლებში შეუწყვეტია.

2. ვინ ცდილობს ფილარეტ დენისენკოს რეაბილიტაციას? – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ წარმომადგენელთა მხარდაჭერით⁶, კონსტანტინეპოლის პატრიარქი ბართლომეოსი თავის სინოდთან ერთად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა საქმეებში სრულიად არაკანონიკურად შეიჭრა და ისე, რომ არც კი მიუმართავს მისი იერარქისთვის და არც რაიმე განწესება დაუცავს, ფილარეტს ანათემა ავტომატურად მოუხსნა, თანაც, მონაწილეს გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ ანათემის მოხსნით დიდი რისკი გაწია,

⁶ ამის თაობაზე საკმაო ფაქტობრივი მასალა გამოქვეყნდა. მაგ., დეკ. ვადიმ ლეონოვის ნარკვევი Константинопольский папизм / pravoslavie.ru.

როგორც ჩანს, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა სათანადოდ მაინც ვერ შეაფასა ფილარეტის ამბიციური ხასიათი; ვინაიდან მან ფილარეტს განკვეთამდე მინიჭებული ხარისხი, ანუ მიტროპოლიტობა კი აღუდგინა, მაგრამ ფილარეტი თავის თავს უკრაინის პატრიარქს უწოდებს და ამისთვის მას არც ფანარის ტომოსი და არც მასთან შეთანხმება დასჭირვებია.

აი, ასეთი ყოველმხრივ უკანონო პატრიარქი მოგვიწოდებს ჩვენ ისტორიის გახსენებისკენ და თან იმედოვნებს, რომ განხეთქილებაში მყოფ თვითმარქვია იერარქს საქართველოს ეკლესია დაუჭერს მხარს.

3. რა მიზანი აქვს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს? – წინა სტატიაში („ს.რ.“, 21.09.2018) ჩვენ მიმოვიხილეთ ფანარის მიერ გამოწვეული პრობლემები, მაგრამ მოვლენები არასახარბიელოდ ვითარდება და „მეორე რომის“ იდეით დამძიმებული ფანარი უკან არ იხევს. ამის დასტურია ზემოთ აღნიშნული ანათემის საკითხიც, რომლითაც კონსტანტინეპოლმა ჩიხიდან გამოსასვლელი გზა კიდევ უფრო დაავიწროვა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ თავისი ქმედებით პირდაპირ გააუქმა რუსეთის ეკლესიის სინოდის დადგენილება, რისი უფლებაც მას არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდა. არც ეპისკოპოსსა და არც პატრიარქს არ შეუძლია გადაწყვიტოს იმ სამღვდლო პირებთან დაკავშირებული კანონიკური საკითხები, რომელნიც მას არ ექვემდებარებიან.

პატრიარქმა ბართლომეოსმა, როგორც კანონიკის სპეციალისტმა, შესანიშნავად იცის, რომ არსებული მდგომარეობით უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპატი და სამღვდლო დასი უკვე მეოთხე საუკუნეა კონსტანტინეპოლის ეკლესიის იურისდიქციაში არ შედის. ამიტომ თავისი უფლებების უკრაინაზე გასავრცელებლად სრულიად წარმოუდგენელი გადაწყვეტილება მიიღო და კონსტანტინეპოლის პატრიარქის დიონისეს 1686 წლის დადგენილება გააუქმა, რომლითაც მან მოსკოვის საპატრიარქოს მმართველობას კიევის კათედრა გადასცა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ფაქტობრივად აღიარა, რომ მას ყველა ადგილობრივ ეკლე-

სიაზე (მისი სიტყვით, ძველი ავტოკეფალური ეკლესიების გარდა) აქვს ანალოგიური უფლება და ავტოკეფალიის მინიჭებაც ერთპიროვნულად შეუძლია. ამ მეტად სახიფათო კანონდარღვევათა გამო რუსეთის პატრიარქმა კირილემ კონსტანტინეპოლის პატრიარქს წინადადებით მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად მართლმადიდებელთა საყოველთაო კრების მოწვევა შესთავაზა და ამ ინიციატივას მხარი ადგილობრივ ეკლესიათა იერარქების უმრავლესობამ დაუჭირა, პატრიარქ ბართლომეოსისგან თანხმობა ვერ მიიღო. ამის შემდეგ რუსეთის ეკლესია იძულებული გახდა, კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირი გაენწყვიტა და ამით მოეხდინა დეკლარირება იმისა, რომ ამჟამად კონსტანტინეპოლის საპატრიარქო მასთან განხეთქილებაში იმყოფება.

დაბოლოს, რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და ეგზარქოსობის თემატიკით მანიპულირებას, ვფიქრობთ, დაინტერესებულ მკითხველს მის მიუკერძოებელ ანალიზს მალე შევთავაზებთ.



უკრაინის ეკლესიის გულშემატკივრობა თუ აღმოსავლური პაპიზმი⁷

საქართველოში ბოლო დროს ისეთ უზომო აგრესიას ამჟღავნებენ «უკრაინის ავტოკეფალიის» მხარდამჭერები, რომ თავისუფლად მოაზროვნე და საკუთარი ქვეყნის გულშემატკივარ მოქალაქეებს ნამდვილად არ ჰგვანან. ისინი არა შეგნებული თანამოაზრეების გამრავლებაზე, არამედ მასების ეგზალტირებასა და ზომბირებაზე ზრუნავენ. საეკლესიო კანონიკის საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად ისინი საბრძოლო «სიტყვიერ ფორმულებს» მიმართავენ, რომლის თემატიკა ძალიან მწირია და მხოლოდ სოციალური ქსელების საქმეში ჩაუხედავ მომხმარებლებზეა გათვლილი.

ავტოკეფალისტთა აზრით, მტერი, დამპყრობელი, ყველაფერში დამნაშავე, უსამართლო რუსეთი არის მიზეზი იმისა, რომ უკრაინელმა მართლმადიდებლებმა ახალ არაკანონიკურ რელიგიურ ორგანიზაციაში გაერთიანება არ ისურვეს; რომ კონსტანტინეპოლის მიერ «უკრაინის უწმინდესი ეკლესიისთვის» მიცემულ ტომოსს არცერთი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს; რომ პატრიარქმა ბართლომეოსმა თვითნებური გადანყვეტილებით მთელი მართლმადიდებლური სამყარო განხეთქილების წინაშე დააყენა; რომ საქართველოს ხელისუფლება «უკრაინის ავტოკეფალიის» საკითხის გადანყვეტაში პრიორიტეტს მისივე ქვეყნის ეკლესიას ანიჭებს და ა.შ., გაუთავებლად.

ნუთუ ვეღარ გრძნობენ ეს თავგასული ლიბერალები, რომ რუსოფობიური საფრთხოხელა ქართველ ერს განხეთქილების ჭაობში ვერ ჩაითრევს. ჩვენ ვდგავართ პრობლემის წინაშე, რომელიც არა ეთნიკური სიმპათიის ან ანტიპათიის მიხედვით, არამედ საეკლესიო სამართლის საფუძველზე უნდა გადაწყდეს, მიუხედავად იმისა, რომ ფანარისა და კიევის მიერ წამოწეული საეკლესიო ინიციატივა, როგორც უკვე უტყუარად ჩანს, სათავეს კარგად შემუშავებული პოლიტიკური პროექტიდან იღებს. თუ ჟამთა სვლას

⁷ პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 17.02.2019.

დავაკვირდებით, ამგვარი დასკვნის გამოტანა არ გაგვიძნელდება.

ქრონოლოგია, როგორც დამხმარე ისტორიული დისციპლინა, მოვლენებზე დაკვირვებისა და შესასწავლი საკითხის ანალიზისთვის ფრიად მნიშვნელოვანია. ამიტომ ზოგიერთი თარიღი ჩვენც გავიხსენოთ, რომ თანმიმდევრულმა თხრობამ კრიზისული მდგომარეობის წარმომქმნელ მიზეზებში ადვილად გაგვარკვიოს.

17 აპრილს 2018 წლისა უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ განაცხადა, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეოსს წერილით მიმართა «უკრაინის ეკლესიისთვის» ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე. თუმცა მას, ისე როგორც ეს სჩვევიათ ჩვენში გავრცელებულ პოპულისტ პუბლიცისტებს, არ დაუჟონკრეტებია, თუ რომელი ეკლესია ჰქონდა მხედველობაში. კანონიკურს, რომელსაც მიტროპოლიტი ონუფრი მეთაურობს და ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, ავტოკეფალია არ უთხოვია, ხოლო უკრაინაში მოქმედი არაკანონიკური რელიგიური ორგანიზაციები („უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია – კიევის საპატრიარქო“ და „უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“), როგორც განხეთქილებაში მყოფი გაერთიანებები, ეკლესიას არც წარმოადგენენ.

მიუხედავად ამისა, კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდმა აღნიშნული მიმართვა ხუთ დღეში, 22 აპრილს 2018 წლისა, განიხილა და გადაწყვიტა, რომ მასზე მსჯელობა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად განეგრძო. მოლაპარაკებებმა და კონსულტაციებმა ზაფხულის ბოლომდე გასტანა, მაგრამ აგვისტოს მიწურულს მოვლენების განვითარებას მკვეთრად გამოხატული აჩქარება დაეცყო.

31 აგვისტოს სტამბულში შედგა შეხვედრა კონსტანტინეპოლისა და მოსკოვის პატრიარქებისა, რომლის დროს პატრიარქმა ბართლომეოსმა პატრიარქ კირილეს აცნობა უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მისანიჭებელი პროცესის ინიცირების თაობაზე, ხოლო მეორე დღეს, 1 სექტემბერს 2018 წლისა, სტამბულში გაიხსნა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სამღვდელთმთავრო კრება (სვინაქსისი), რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება:

ა) სხვა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან შეუთანხმებლად კონსტანტინეპოლის ეკლესიის მიერ ნებისმიერი საეკლესიო ორგანიზაციისთვის ავტოკეფალიის შესაძლო მინიჭებისა და ბ) უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მიცემის შესახებ.

საეჭვო არაფერია იმაში, რომ ფანარი წინასწარ შედგენილი გეგმით მოქმედებდა და 11 ოქტომბერს ყოვლად ანგარიშგაუწევლად, საეკლესიო კანონმდებლობისა და სხვა ადგილობრივ ეკლესიათა ინტერესების უგულვებლყოფით, სამი საუკუნის წინ მიღებული საკუთარი აქტი გააუქმა, რომლის ძალითაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ 1686 წელს უკრაინა (კიევის მიტროპოლია) მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას დაუქვემდებარა; ამასთანავე, იმავე 11 ოქტომბრის სინოდური განჩინებით, რუსეთის მიერ შეჩვენებულ, ანუ ანათემას გადაცემულ პირებს – ყოფილ მიტროპოლიტ ფილარეტ დენისენკოსა და ყოფილ მღვდელს მაკარი მალეტიჩს – სრულიად უკანონოდ ანათემები მოუხსნა.

15 დეკემბერს 2018 წლისა, კიევის წმიდა სოფიის ტაძარში, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეგიდით და უკრაინის საერო ხელისუფლების აქტიური მონაწილეობით სქიზმატურმა ორგანიზაციებმა – „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია – კიევის საპატრიარქო“ და „უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“ – გამართეს ე.წ. გამაერთიანებელი კრება და ახალი – „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“ დააფუძნეს, ხოლო მის მეთაურად დაადგინეს არაკანონიკური „კიევის საპატრიარქოს“ ეპისკოპოსი ეპიფანე(დუმენკო), რომელსაც ყველა საეკლესიო ხარისხი განკვეთილი „საპატიო პატრიარქის“ ფილარეტ დენისენკოს მიერ აქვს მიღებული.

ფაქტია, რომ პატრიარქი ბართლომეოსის გეგმა ჩავარდა, რადგან „გამაერთიანებელმა კრებამ“ უკრაინის კანონიერი ეკლესიის მიმხრობა ვერ შეძლო და მასში 90 იერარქიდან მხოლოდ ორმა მიტროპოლიტმა – სიმონმა(შოსტაცკი) და ალექსანდრემ(დრაბინკო) – მიიღო მონაწილეობა, რისთვისაც ორი დღის შემდეგ, 17 ოქტომბერს, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ორივეს მსახურება აუკრძალა.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სასამართლო დახმარებული აღმოსავლური მართლმადიდებელი ეკლესიების საჭეთმპყრობელთა და ცალკეულ იერარქთა ამალღებული ხმის მიმართ, რომელნიც ფანარს თავშეკავებისა და ერთობლივი გადანყვეტილების მიღებისკენ მოუწოდებდნენ. პატრიარქმა ბართლომეოსმა პასუხის ღირსად არ ჩათვალა მისივე სინოდის წევრიც, მიტროპოლიტი კალისტე(უერი), რომელმაც კონსტანტინეპოლის პოზიციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ოფიციალურად გამოხატა. ვერც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დიდი ხნის თანამშრომელმა, კანონიკური სამართლის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა პროფესორმა, პროტოპრესვიტერმა თეოდორე ზისისმა მიიქცია ფანარის ყურადღება, რომელმაც ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე ამხილა «უკრაინის ავტოკეფალიის» საკითხის დაყენების უმართებულობა და დასძინა, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო «მიზანმიმართულად ფარავს და ამახინჯებს ისტორიულ სიმართლეს, რათა მხარი დაუჭიროს განხეთქილებას, რომელსაც უკრაინაში სამოქალაქო ომის გამონეწევა შეუძლია».⁸

ასე რომ, კონსტანტინეპოლის გადანყვეტილება შეუვალა აღმოსავლურ და 2019 წლის 6 იანვარს, სტამბულში, პატრიარქმა ბართლომეოსმა უკრაინის წარმომადგენლებს გადასცა ტომოსი ავტოკეფალიის შესახებ – დოკუმენტი, რომელიც დაინერა ფანარის თეოლოგების მიერ, ხოლო მხატვრულად გააფორმეს ათონელმა ხატმწერებმა. ტომარი (ძვ. ქ. ასე ეწოდებოდა გრძლად გადაბმულ ქარტას, გრანგის) ახალი რელიგიური ორგანიზაციისთვის ორ სახელწოდებას ამკვიდრებს: «უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია» და «უკრაინის უწმინდესი ეკლესია» (Святейшая церковь Украины). აბრევიატურის მიხედვით (СЦУ) სოციალურ ქსელებში მაშინვე დაიწყო გაშიფრვა – Стамбульская церковь Украины, ანუ «სტამბულის უკრაინული ეკლესია», რადგან განხეთქილნიც განზილბულნი აღმოჩნდნენ: ტომარის ტექსტიდან გამომდინარე,

⁸ Протопр. Феодор Зисис, Украинская автокефалия – сокрытие и неверная интерпретация документов. pravoslavie.ru

უკრაინამ არა დამოუკიდებელი ეკლესიის დამადასტურებელი დოკუმენტი, არამედ კონსტანტინეპოლზე დამოკიდებული ავტონომია და ახალი განხეთქილება მიიღო.

ტომარის ტექსტის სხვადასხვა ენაზე შესრულებულ თარგმანებთან ერთად საიტზე pravoslavie.ru არაერთი კომენტარიც გამოქვეყნდა, რომელთაგან ზოგიერთს ჩვენს მკითხველსაც გავაცნობთ.

უწინარეს ყოველისა, რეალობის არაადეკვატურ ასახვაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ტომარში არაფერია ნათქვამი რუსეთის საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ, რომელსაც ავტოკეფალია არასდროს მოუთხოვია. ერთადერთი პერიოდი, როცა რუსეთის ეკლესია მოსკოვისა და კიევის მიტროპოლიებად იძულებით იყო გაყოფილი, მოიცავს 1458-1686 წლებს. სხვათა შორის, ამ ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, როდესაც პოლონელთა მიერ მიტაცებული კიევი იეზუიტთა და უნიატთა სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა, «მართლმადიდებელთა გაკათოლიკებისა და რუსეთის ეკლესიისგან მათი ჩამოშორების პარალელურად წარმოებდა დაუღალავი მუშაობა მათი ნაციონალური გამოყოფისთვისაც უკრაინელობის, უკრაინული თვითშეგნებისა და რუსოფობიის დანერგვის და განვითარების გზით. ბერძნულ ისტორიულ წყაროებში არსად გვხვდება სიტყვა „უკრაინა“, ხოლო რუსი ხალხი წარმოდგენილია ერთიანი გეოგრაფიული და დემოგრაფიული კლასიფიკაციით – როგორც დიდი რუსეთი, მცირე რუსეთი და თეთრი რუსეთი. ახლანდელი უკრაინელი – ესაა მაღოროსი, მოსკოველი – ველიკოროსი, ხოლო ბელორუსი – ბელოროსი».⁹

სამწუხაროა, რომ დასავლური პოლიტიკის გავლენით დანერგულმა რუსთა და უკრაინელთა ხელოვნურმა დიფერენციაციამ კონსტანტინეპოლის ეკლესიაც აცდუნა და ისედაც კონფლიქტურ მდგომარეობაში მყოფ მართლმადიდებელ ქვეყნებს ახალი პრობლემები შეუქმნა. ბუნებრივია, ასეთი მასშტაბის განხეთქილებამ არა მარტო ორი ან სამი ქვეყნის, არამედ მთელი მარ-

⁹ დასხ. протопр. Феодор Зисис, ... გვ. 24/36.

თლმადიდებლური მსოფლიოს ერთიანობას გაუჩინა ბზარები. სწორად შენიშნა ბერძენმა აპოლოგეტმა, პროტოპრ. ანგელოს ანგელაკოპულოსმა: ფანარელი ეკუმენისტები და უკრაინელი სქიზმატიკოსები გაერთიანდნენ და მთელი გაშმაგებით ეკვეთნენ მართლმადიდებლობას.¹⁰ ამიტომ უმაღლესი იერარქები მოვლენათა რეალურად აღქმისაკენ მოგვიწოდებენ.

29 იანვარს 2019 წლისა, მოსკოვში, პატრიარქ კირილესთან შეხვედრის შემდეგ სერბეთის პატრიარქმა ირინეოსმა ბრძანა: «ეს უდიდესი პრობლემაა არა მარტო რუსეთისა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიების, არამედ მთელი მართლმადიდებლური მსოფლიოსთვისაც. იგი შეტანილია ეკლესიის შიგნით და მას ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება. ჩვენ ყველამ, მართლმადიდებლებმა, რეალურად უნდა შევხედოთ ამ პრობლემას, რადგან შეიძლება მას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს იმაზე, რომელიც XI საუკუნეში წარმოიქმნა. XI საუკუნის პრობლემამ ეკლესია აღმოსავლურ და დასავლურ მხარეებად გაჰყო, ხოლო ამ პრობლემას XXI საუკუნეში მართლმადიდებლური სამყაროს დაყოფა და სერიოზული შედეგების გამოწვევა შეუძლია».

როგორც აღვნიშნეთ, ფანარმა თითქოს ახალი ავტოკეფალური ეკლესია შექმნა, მაგრამ სინამდვილეში თავის «სულიერ შვილს» ისეთი შეზღუდვები დაუდგინა, რომ უკრაინის კანონიკურ ეკლესიასთან შედარებით უშუალოდ ავტონომიური უფლებებიც არ აქვს. მაგალითად, მას წმიდა მირონის არათუ მოხარშვა, არამედ, შესაბამისი საფასურით მიღება მხოლოდ კონსტანტინეპოლიდან შეეძლება. მისი იურისდიქცია გავრცელდება მხოლოდ უკრაინის ტერიტორიაზე, საზღვარგარეთ სამრევლოების გახსნა მას არ შეუძლია; დიასპორის ყველა სამრევლო კონსტანტინეპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში გადადის.

ამასთანავე, უშუალოდ შიგნით წარმოქმნილი ყველა სადაო საკითხის გადასაწყვეტად ბოლო ინსტანცია ფანარი გახდება. მარტივად რომ ვთქვათ, იერარქთა ან მღვდელმსახურთა შორის

¹⁰ Протопр. Ангелос Ангелакопулос, После украинской автокефалии. Пирей, 11.01.2019. ვებ-გვერდი: Православный Апологет.

წარმოქმნილი კონფლიქტის შემთხვევაში, პრობლემის გადასაჭრელად არა ახალ მეთაურს ეპიფანეს, არამედ ბართლომეოსს უნდა მიმართონ. სხვათა შორის, სწორედ უაპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებათა უფლების მინიჭებით ცდილობს კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, რომ ეს პაპისტური პრივილეგია ყველა ადგილობრივი ეკლესიის მიმართაც დაამკვიდროს და იყოს არა პატივით პირველი თანასწორთა შორის, არამედ – «პირველი თანასწორთა გარეშე».

აქამდე «აღმოსავლელი პაპის» პრეტენზიები სერიოზული განხილვის საგანი არც გამხდარა, მაგრამ უკრაინასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა გამოაშკარავა ფანარის ტახტის პირველობის მცდარი იდეოლოგიური საფუძვლები, რომელსაც თავისი თეორეტიკოსებიც ჰყავს – პერგამის მიტროპოლიტი იოანე(ზიზიულასი) და პრუსიის მიტროპოლიტი ელპიდოფორე(ლამბრინიადისი).¹¹ მათი აზრების გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ პატრ. ბართლომეოსის მიერ არაკანონიკური გადაწყვეტილებებით აღძრული განხეთქილება წინასწარ შემუშავებული იდეოლოგიის მიხედვით განხორციელდა და მისი აღმოფხვრა მხოლოდ ერთი ეკლესიის დიდი ძალისხმევისა და ხანგრძლივი მუშაკობის შემდეგ თუ შეიძლება მოხერხდეს.

კონსტანტინეპოლური პაპიზმის როგორც თეოლოგიურ, ისე კანონიკურ შეფასებას, ვფიქრობთ, სპეციალური ნარკვევი უნდა მიეძღვნას, მანამდე კი მთელი ამ ტომოსიადის დამაგვირგენი ბელი ღონისძიება მიმოვიხილოთ, რომელმაც აბსურდის თეატრის ერთი უღიმღამო სპექტაკლი უფრო შემოუნახა უკრაინულ მატთანეს, ვიდრე განცდა ეროვნული დღესასწაულისა.

3 თებერვალს 2019 წლისა, კიევში გაიმართა ე.წ. ინტრონიზაცია სერგეი ღუმენკოსი, იგივე ეპიფანე მიტროპოლიტისა, რომელიც ახალშექმნილ უშუალოდ ტახტის მპყრობელად დაინიშნა. «ინტრონიზაციას» ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები, გარდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსი,

¹¹ დასხ. Протопр. Ангелос... აგრეთვე: Свящ. Георгий Максимов, Ересь Константинопольского папизма, გვ. 17/21.

არ დასწრებიან; რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი უკრაინის უწმინდეს ეკლესიას და კიევის ახალ მიტროპოლიტს არ აღიარებენ. სამაგიეროდ, ავტოკეფალისტთა დამძიმებულ სულთა სანუგეშოდ, აღსაყდრებას დაესწრნენ უკრაინის პრეზიდენტი პ. პოროშენკო და მისი კონკურენტი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე იულია ტიმოშენკო, რომელსაც ახლობლური ურთიერთობა აქვს თვითმარქვია პატრიარქ ფილარეტ დენისენკოსთან; ასევე იყვნენ უკრაინის რომაულ-კათოლიკური, ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიებისა და პროტესტანტული დენომინაციების წარმომადგენლები.

აღნიშნულ დამსწრე საზოგადოებაზე ჩვენი კომენტარი რაღა საჭიროა, მაგრამ ათონელი სტუმრების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციათა სიმრავლის გამო ყურადღების გამოჩენა ჩვენც გვმართებს. საქმე ისაა, რომ უკრაინაში გასამართი ინტრონიზაციის მიმართ ადგილობრივ ეკლესიათა დამოკიდებულება დიდი ხნით ადრე გახდა ცნობილი. ამიტომ კონსტანტინეპოლმა მაქსიმალური ძალისხმევა მოახმარა მის იურისდიქციაში შემავალ ათონის წმიდა მთის მონასტერთა დაყოფიებას, რათა მათი წარმომადგენლები კიევში გამართულ ღონისძიებას დასწრებოდნენ.

28 იანვარს ათონის წმინდა კინოტმა, ანუ მონასტერთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კიევში არც დელეგაციას და არც მისალოცს შუშ-ის მეთაურის მიმართ არ გააგზავნიდა, ვინაიდან წინა დღეს ჩატარებულ სხდომაზე კინოტის 20 წევრიდან პატრ. ბართლომეოსის ინიციატივას მხოლოდ ხუთმა დაუჭირა მხარი.¹²

ტრადიციულად, ათონელი ბერები მართლმადიდებლურ სამყაროში ავტორიტეტით სარგებლობენ, მაგრამ დამაფიქრებელია, რომ კინოტის მეოთხედი ვერ იჭერს მტკიცე პოზიციას აშკარა განხეთქილების წინაშე და «უკრაინის საეკლესიო კონფლიქტში რომელიმე მხარის მხარდაჭერისგან თავს იკავებს».¹³

1 თებერვალს გავრცელდა ცნობა, რომ პატრ. ბართლომეოსის წაყენებული ულტიმატუმის შემდეგ – ინტრონიზაციაზე დასწრება ან ღმრთისმსახურებისგან დაყენება – ათონის ერთ-ერთი

ძლიერი მონასტრის, ვატოპედის წინამძღვარი არქიმ. ეფრემი იძულებული შეიქნა, კიევში ჩასულიყო. მხოლოდ ფაქტებით რომ ვისაუბროთ, ერთი რამ უეჭველია: იმავე დღეს მამა ეფრემი გულის შეტევის გამო საავადმყოფოში აღმოჩნდა, სადაც მეორე დღეს, 2 თებერვალს, იგი თვით ეპიფანემ ინახულა. ამ დღესვე მკურნალობის გაგრძელების მიზნით, რეისით კიევი-ჟენევა, მამა ეფრემმა უკრაინა დატოვა. ასე რომ, იგი აღსაყდრების ცერემონიალს არ დასწრებია.

ვატოპედის ილუმენისა და ზოგიერთი ათონელი ბერის ირგვლივ წარმოქმნილ მითქმა-მოთქმაზე სიტყვას არ განვაგრცობთ, მაგრამ ერთი პუბლიცისტის ნათქვამს გავიმეორებთ: «მთელი ამ ისტორიიდან ერთი რამ ცხადია: ახლანდელ დაპირისპირებაში ადრე თუ გვიან ყველას მოუწევს ვინმესთვის მხარის დაჭერა. ნეიტრალური პოზიცია არ იარსებებს»...



¹² Ал. Коваль, «Интронизация» Епифания (Думенко) в Киеве (05.02.2019), гл. 2/8.

¹³ იქვე.